პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 81 (6392)

29 1979 წ. აპრილი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა

ბაქო. აზერბაიჯანის დედაქალაქში 25 აპრილს დაიწყო მუშაობა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ „აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება: ზნეობრივი აღზრდის გამოცდილება და აქტუალური პრობლემები“.

მასში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო ცენტრებისა და ქვეყნის შემოქმედებითი კავშირების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების ნოვატორები.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ **ე. ტიაჟელნიკოვმა.**

კონფერენციის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევის** მისალმებას, რომელიც დამსწრეთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ალიევმა.**

26 აპრილს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **გ. ენუქიძის** ხელმძღვანელობით გაიმართა სხდომა სექციისა — „ფიზკულტურა და სპორტი — აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების, საბჭოთა ხალხის ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება“. მის მუშაობაში მონაწილეობდა 300 პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული მუშაკი, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელი, ჟურნალისტი, ცნობილი სპორტსმენი. მოისმინეს 28 მოხსენება, რომელიც ეხებოდა ფიზკულტურისა და სპორტის სხვადასხვა ასპექტს კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ძირითადი მოხსენებით — „ფიზკულტურა და სპორტი ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება“ გამოვიდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ზახავინი,** ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მათ მოსამზადებლად ფიზკულტურისა და სპორტის როლის შესახებ იყო საუბარი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **დ. ოსტრომიას** მოხსენებაში. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის **ნ. რიაშენცევის** თანამოხსენებაში გაშუქებული იქნა საკითხი — „მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი, როგორც შრომისნაყოფიერებისა და ხარისხის ამაღლების ფაქტორი“. „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ვ. სმირნოვის** თანამოხსენების თემა იყო „XXII ილიმპიური თამაშები და საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდა“.

დიდი სპორტის აქტუალურ პრობლემებზე, მაღალი კლასის სპორტსმენთა ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე იყო გამახვილებული ყურადღება ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგის, პროფესორ **ვ. ბელორუსოვის,** მოსკოვის ფიზკულტურის საოლქო ინსტიტუტის რექტორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, პროფესორ **ა. ვორობიოვის,** სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ს. ვაიცეხოვსკის,** საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის კომორგის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **ნ. ანდრიანოვის,** საკავშირო სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსის **ა. ვალიახმეტოვის** გამოსვლებში.

27 აპრილს კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

დასკვნით სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ალიევი.**

კონფერენციის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ **ე. ტიაჟელნიკოვმა.**

კონფერენციის მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

● ჭადრაკი

ყაიმს დასჯერდნენ

მონრეალის დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში 12 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ა. კარპოვს ზედმეტი პაიკი ჰქონდა რ. ჰიუბნერთან, მაგრამ მისი რეალიზება შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ მეტოქეს დაუზავდა. მ. ტალი შეეცადა მოეგო საყაიმო ენდშპილი ვ. ჰორტისთვის, მაგრამ ამაოდ — აქაც ზავი დაიდო. ჰორტმა ყაიმით დაამთავრა მეორე გადადებული პარტიაც ლ. პორტიშთან.

პირველი გამარჯვება იზეიმა ლ. კავალეკმა, რომელმაც ი. ტიმანს სძლია. მეორე გადადებულ პარტიაში აშშ-ს ჩემპიონი დაუზავდა ჯ. სპასკის.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ კარპოვს 8 ქულა აქვს, ტალს — 7,5, პორტიშს — 7, ლ. ლიუბოევიჩს — 6,5, ჰიუბნერს — 6, ჰორტს — 5, ტიმანს — 4,5, სპასკის — 4, ბ. ლარსენს — 3,5, კავალეკს — 3.

□

შთამბეჭდავი გამარჯვება

ბანია-ლუკას (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა გარი კასპაროვმა გაინაღდა I ადგილი. მსგავსი რამ იშვიათია. XII ტურში გარი დაუზავდა დიდოსტატ ა. მატანოვიჩს (იუგოსლავია), მეორე დღეს — დიდოსტატ გ. გარსიას (კუბა), მოაგროვა 10,5 ქულა და დანარჩენი მონაწილეთათვის მიუწვდომელი შეიქმნა. II-III ადგილებზე მყოფ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანსა და ი. სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია) მხოლოდ 8-8 ქულა აქვთ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კასპაროვი პირველად მონაწილეობდა საზღვარგარეთ „მოზრდილთა“ ტურნირში, მისი წარმატება საოცრად შთამბეჭდავია. მან არა მხოლოდ გაიმარჯვა ძლიერი შემადგენლობის შეჯიბრებაში (მასში 14 დიდოსტატი და 2 ოსტატი მონაწილეობდა), არამედ ვადამდეც მოიხვეჭა I ადგილი. უკვე მეთერთმეტე ტურისთვის მან 8 პარტია მოიგო და დიდოსტატის პირველი ბალის ნორმატივი შეასრულა.

გარიმ ოსტატის წოდება 14 წლისამ მიიღო. 15 წლის ასაკში, შარშან ივლისში, მან გაიმარჯვა საკავშირო შესარჩევ ტურნირში, სადაც მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზური. თვით ჩემპიონატში ცუდად როდი გამოვიდა, შეინარჩუნა უფლება წელსაც ითამაშოს უმაღლეს ლიგაში და არცაა გასაკვირი. „კასპაროვი იშვიათი ტალანტია, — ამბობს დიდოსტატი ა. სუეტინი, — იგი უკვე ახლა თამაშობს პარტიის ყველა სტადიას დიდოსტატის ძალით. უეჭველია, რომ მას დიდი მომავალი აქვს“. პეტროსიანი თვლის, რომ კასპაროვი შესანიშნავად უხამებს ერთმანეთს პოზიციურ და კომბინაციურ სტილს. ასეთივე აზრისაა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, რომლის დაუსწრებელ სკოლაში სწავლობს კასპაროვი.

გარი წარმატებით სწავლობს ბაქოს 151-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასში. ჭადრაკში დაოსტატებაში მას ეხმარებიან ოსტატები ა. ნიკიტინი და ა. შაქაროვი.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. კასპაროვი.

□

ეძღვნება გამარჯვების დღეს

3-20 მაისს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდება დიდოსტატთა და ოსტატთა ტურნირი. შეჯიბრება ეძღვნება გამარჯვების დღეს — 9 მაისს.

ტურნირი მიზნად ისახავს საქართველოს მოწინავე მოჭადრაკეთა წვრთნას სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის. ამიტომ საასპარეზოდ მიწვეული არიან საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრების წევრები: დიდოსტატები თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, ოსტატები ს. ჩეჩელიანი, ზ. სტურუა, ზ. აზმაიფარაშვილი და ა. იზვოზჩიკოვი.

ტურნირში ითამაშებენ აგრეთვე ცნობილი მოჭადრაკეები, დიდოსტატები ო. რომანიშინი, ა. მიხალჩიშინი (ორივე — ლვოვი), ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) და საერთაშორისო ოსტატი მ. პოდგაეცი (ოდესა).

□

უმასპინძლებს აბაშა

საქართველოს ქალთა წლევანდელი ჩემპიონატი გაიმართება აბაშაში. რაიონის მესვეურნი ინტერესით შეხვდნენ ამ ცნობას და მასპინძლობისთვის ემზადებიან.

მართალია, ჩემპიონატში სხვადასხვა მიზეზით ვერ მიიღებს მონაწილეობას „შესანიშნავი ხუთეული“ — მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. გურიელი და ნ. იოსელიანი, მაგრამ ტურნირი მაინც საინტერესო შემადგენლობისა იქნება. მასში ითამაშებენ: თბილისის ჩემპიონი ლ. თანდაშვილი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი, თბილისის ექს-ჩემპიონი ლ. კოროშინაძე, საქართველოს ექს-ჩემპიონი ნ. მელაშვილი, ქ. გაჩეჩილაძე, ლ. ბელოზიოროვა, ნ. მუსერიძე (ყველა — თბილისი), გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი თ. მესხი, ე. ფახიროვა, ნ. ჩოფხაძე (ყველა — ქუთაისი), ც. ქასოშვილი (გორი), 11 წლის ლ. აგბაბიშვილი (რუსთავი), ნ. გოგია, მ. ჩაჩიბაია (ორივე — ცხაკაია), ნ. სიჭინავა (გალი) და ლ. დანელია (აბაშა).

ჩემპიონატი სტარტს აიღებს 3 მაისს და სამ კვირას გაგრძელდება.

□

„თეთრი ეტლის“ რეგატა

3 მაისს თერჯოლაში დიდი საჭადრაკო ზეიმია. ამ დღეს აქ გაიხსნება პიონერთა რაზმეულების მოჭადრაკეთა გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება „თეთრი ეტლის“ პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ცხაკაიას, რუსთავისა და გორის გუნდები. თითოეულ კოლექტივშია 4 ბიჭუნა და 1 გოგონა. გუნდის წევრები ერთი სკოლის მოსწავლენი უნდა იყვნენ.

პაექრობა 11 მაისამდე გაგრძელდება. გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს „თეთრი ეტლის“ საკავშირო გათამაშების ფინალში (ლვოვი, 1-13 ივნისი).

ჩემპიონები — სპორტულ კომისიაში

მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე ლ. ლატინინა, ინსბრუკის ოლიმპიადის გამარჯვებული, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ყინულზე ცეკვაში ლ. პახომოვა, მსოფლიოს ჩემპიონი, სამბისტი დ. რუდმანი და სხვა ცნობილი სპორტსმენები შევიდნენ „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოებასთან შექმნილ სპორტულ კომისიაში. კომისიის შემადგენლობაში არიან, აგრეთვე, მოსკოვის ისეთი ორგანიზაციების კოლექტივები, როგორიცაა ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“, ბავშვთა სპორტკლუბი „სამბო-70“.

— ჩვენი ძირითადი ამოცანაა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებისა და ოლიმპიადა-80-ის დღეებში გავაცნოთ ფრანგ სტუმრებს ქვეყნის სპორტული ცხოვრება, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საზოგადოება „სსრკ-საფრანგეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა, მწერალმა ა. კულეშოვმა, რომელიც ხელმძღვანელობს ახალ კომისიას.

შემუშავებულია ფართო პროგრამა. სპარტაკიადისა და ოლიმპიადის დღეებში ჟურნალისტებისა და ტურისტებისთვის დაგეგმილია შეხვედრები ცნობილ საბჭოთა სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან, მხატვრული გამოფენის — „სპორტი ხელოვნებაში“ დათვალიერება, ფრანგ სტუმრებს გააცნობენ, აგრეთვე, ბავშვის საერთაშორისო წელს გახსნილ ბავშვთა სპორტული დაწესებულებების მუშაობას.

მოეწყობა, აგრეთვე, შეხვედრა საფრანგეთის სპორტულ დელეგაციასთან, რომელიც ჩამოვა მოსკოვში სპარტაკიადაზე და ოლიმპიადაზე. ნავარაუდევია საბჭოთა და ფრანგი მხატვრების სპორტისადმი მიძღვნილი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა. (საკდესი).

● შაიბიანი ჰოკეი

თექვსმეტგზის!

გუშინწინ მოსკოვში დამთავრდა ჰოკეისტთა გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა ბოლო მატჩში სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს 6:1 (მანამდე კი მოუგეს კანადელებს 9:2) და მეთექვსმეტედ გახდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. კანადამ დაამარცხა შვეცია — 6:3.

საბოლოოდ „ოქროს ოთხეულში“ ადგილები ასე განაწილდა:

	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	6	0	0	51—12	12
ჩეხოსლოვაკია	3	1	2	25—30	7
შვეცია	1	1	4	20—38	3
კანადა	1	0	5	20—36	2

V-VIII ადგილებზე მებრძოლ გუნდებში ბოლო ადგილზე გავიდნენ პოლონელები და 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მათ ადგილს ჰოლანდიელები დაიკავებენ.

ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა მსოფლიოსა და ევროპის ექვსი საუკეთესო ჰოკეისტი. სია ასე გამოიყურება: მეკარე ვ. ტრეტიაკი (სსრ კავშირი), მცველები ვ. ვასილიევი (სსრ კავშირი) და ი. ბუბლა (ჩეხოსლოვაკია), თავდამსხმელები ბ. მიხაილოვი (სსრ კავშირი), ვ. პეიმანი (კანადა) და ს. მაკაროვი (სსრ კავშირი). დაასახელეს, აგრეთვე, ევროპის საუკეთესო ჰოკეისტი, რომელსაც გადაეცა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზი — „ოქროს ყვანჯი“. ეს პრიზი გადაეცა საბჭოთა გუნდის კაპიტანს ბ. მიხაილოვს.

● შაში

დაუმარცხებლად...

ფონისჭალის კულტურის სახლში ჩატარდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პირველობა ქალთა შორის 64-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 16 მოშაშე მონაწილეობდა.

მთელი დისტანცია დაუმარცხებლად განვლო ნ. კაზაროვამ და 14 ქულით ჩემპიონის სახელი მოიპოვა. შარშანდელმა ჩემპიონმა მ. კაზაროვამ 11,5 ქულით მხოლოდ III ადგილი დაიკავა. II ადგილზეა ლ. ჯიოევა — 12,5.

შეჯიბრებაში დაწესებული საგანგებო პრიზები მოიპოვეს გ. კორკოტაძემ, ლ. ქუმსიაშვილმა და ლ. ჯიოევამ.

ვ. კანდელაკი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ი. ხაბეიშვილი.

მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

მ ი ზ ე ზ ი?

დაშვებული შეცდომები!

გასული წლის საზაფხულო მძლეოსნური სეზონის დამთავრებით დასრულდა საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატთა შერჩევა და დაკომპლექტდა კოლექტივი, რომელმაც სპეციალური გეგმით დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადება. მანამდე რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა სათანადო ღონისძიებანი გაატარა „სპორტის დედოფლის“ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, ჩამორჩენა კი მართლაც საგრძნობი იყო — წინა, VI სპარტაკიადაში ჩვენმა მძლეოსნებმა 52 ქულით XVI ადგილი დაიკავეს (?!) და არც შემდეგ წელს გამართულ საკავშირო ტურნირებში მომხდარა მაინცდამაინც თვალსაჩინო ძვრები.

ცხადია, ჩამორჩენას ობიექტური მიზეზები ჰქონდა — რესპუბლიკაში არსად იყო თუნდაც ერთი ხეირიანი ბაზა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, მაგრამ სუბიექტური მიზეზები (მწვრთნელთა უმეტესობის უსულგულობა, სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ფიზკულტურის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელების ამ სახეობისადმი ინერტულობა, სპორტსკოლების, განსაკუთრებით მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების მცირე უკუგებით მუშაობა) მაინც სჭარბობდა.

ხალხთა VI სპარტაკიადის შემდეგ 4 ბაზა ჩადგა მწყობრში — ვაკეში საექსპლუატაციოდ გადაეცა მანეჟი; შარშან „დინამოს“ სტადიონის ბილიკებმა და მძლეოსნურმა სექტორმა მიიღეს პირველი სტუმრები; სოხუმის სტადიონის კარიც გაიღო, ხოლო საახალწლოდ თბილისში საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის შესანიშნავი სასახლე გაიხსნა. რესპუბლიკის მძლეოსნებისაგან, მათი მწვრთნელებისგან ახლა სამართლიანად მეტს მოითხოვენ (ერთ-ერთი საკითხი, რომელიც დღემდე ვერ გადაწყდა, თბილისში მტყორცნელების სავარჯიშო სექტორის მოწყობაა).

თითქოს ახალი ბაზების მიღების პასუხად შარშან თბილისში გამართულ საკავშირო პირველობაში ჩვენი ათლეტები გაცილებით უკეთესად გამოვიდნენ (შესაძლოა კიდევ რამდენიმე ნაბიჯით წინ წაეწიათ ჯ. ფხაკაძესა და ს. სკრიპკას მებრძოლის თვისებები რომ გამოეჩინათ). როგორც იტყვიან, საქმე ადგილიდან დაიძრა, საჭირო იყო მხოლოდ მეტი გარჯა, რომ წლევანდელ სეზონს, განსაკუთრებით ხალხთა VII სპარტაკიადას გუნდი კიდევ უფრო უკეთესი შედეგებით შეგებებოდა.

ახლა იმის თქმა, თუ რას მოვიმკით საკავშირო სპარტაკიადაში, ძნელია, მაგრამ ნაკრების მზადების 6 თვე ისე მიიწურა, რომ უფლება არ გვაქვს მისი შედეგებით კმაყოფილი ვიყოთ. ეს მინსკში გამართულმა ზამთრის საკავშირო ტურნირმაც დაამტკიცა (იქ ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ადგილი დაიკავა) და ერევანში გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე საკავშირო კროსმაც ცხადჰყო.

მიზეზი? ნაკრების მზადებაში დაშვებული შეცდომები!

შარშან ოქტომბერში რესპუბლიკის ნაკრებში 41 კანდიდატი ჩაირიცხა (სპარტაკიადისთვის კი თითქმის ორჯერ მეტია საჭირო. სამწუხაროდ, არ მოგროვდა იმდენი ათლეტი, რომელთა კვალიფიკაცია მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა). მათგან მხოლოდ 17 სპორტის ოსტატია (სპარტაკიადაში მხოლოდ ოსტატები დაიშვებიან). ნაკრები სახეობების მიხედვით ჯგუფებად დაიყო და მწვრთნელთა შორის ფუნქციებიც ამის მიხედვით განაწილდა. გუნდის ბედი მის უფროს მწვრთნელს ე. მასლოვსკის ჩააბარეს. კოლექტივს საქართველოს სპორტკომიტეტიდან ზრუნვა და დახმარება არ აკლდა. ახლა ყველაფერი მწვრთნელებზე, მათ მიერ საქმის უნარიან გაძღოლაზე იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ, მასლოვსკიმ იმედი ვერ გაამართლა: იგი სათანადო კონტროლს არ უწევდა მუშაობას. ნაკრების ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საწვრთნო საქმიანობის ხარისხიანი გეგმები, ხოლო რაც ჰქონდათ, მათი შესრულებისთვისაც თავს არ იწუხებდნენ. არავინ იყო გამკითხავი, კაცი, რომელიც გულთან მიიტანდა წვრთნის ხარისხიანობას, იმას, მთლიანი მოცულობით სრულდებოდა თუ არა სამუშაო; არ ეწყობოდა მწვრთნელების, სპორტსმენების თვითანგარიშების მოსმენა; სასწავლო-საწვრთნო შეკრებების დროს ჩატარებული მეცადინეობის ანალიზისთვის არავის ეცალა (გამონაკლისია მხოლოდ მარტში ლესელიძეში გამართული შეკრება, რომელიც გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაატარა).

ნაკრების მწვრთნელთა ნაწილს კი საქმიანობაში სერიოზული ხარვეზები ჰქონდა. მაგალითად, საშუალო მანძილებზე მორბენალთა ჯგუფი ვარჯიშობდა გეგმით, რომელიც სტაიერებისთვის არის განკუთვნილი (ეს ცხადჰყო საბჭოთა კავშირის ნაკრების კომპლექსურ-სამეცნიერო ჯგუფის უფროსის, ფიზკულტურის ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტის რბენის ლაბორატორიის გამგის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. პოპოვის მიერ ჩვენი სპეციალისტების საქმიანობის შესწავლამ).

უკონტროლობამ, გეგმიურობაში ფორმალურობამ ის გამოიწვია, რომ წამყვანი სპორტსმენების დიდი ნაწილი, გუნდი მთლიანად დავალებას ვერ ანაღდებდა — შუა აპრილისთვის 41 კანდიდატიდან პერსონალური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 7 მძლეოსანს (?!).

ნაკრების მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ისიც ვერ შეძლო, რომ მწვრთნელები შეთავსებებიდან გაეთავისუფლებინა. გუნდში ასეთი აღმოჩნდა 9 სპეციალისტი, რომლებიც როგორღაც „ახერხებდნენ“ ნაკრებშიც ემუშავათ და ძირითად სამსახურსაც არ მოსცდენოდნენ. ამან მზადების ხარისხს გარკვეული დაღი დააჩნია.

მწვრთნელების, სპორტსმენების ერთ ჯგუფთან საუბარში გავარკვიეთ, რომ ნაკრების წევრთაგან წვრთნის გაცდენის შემთხვევები არ ყოფილა. სამაგიეროდ ყველა სარეაბილიტაციო საშუალების უქმარობას უჩიოდა, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გუნდს არ ჰქონდა ელექტროსტიმულატორი, ჩამორჩებოდა ვიტამინიზაციის საქმე, უკმარი იყო სხვა საშუალებანი, ბევრს საწვრთნელი ფეხსაცმელი და ტანსაცმელიც აკლდა, გუნდის ხელმძღვანელობა კი ამ ხარვეზების გამოსწორებისათვის არ ზრუნავდა.

— ახლა ეს საკითხები ძირითადად მოგვარებულია. — გვიხსნის ნაკრების ახალი უფროსი მწვრთნელი რ. ტრაპაიძე. — ყველა მძლეოსნისთვის ორ-ორი ხელი ხარისხიანი ფორმა შევიძინეთ. გაუმჯობესდა სამედიცინო და სარეაბილიტაციო საშუალებებით უზრუნველყოფა. საფუძვლიანად გარდაიქმნა მწვრთნელების მუშაობა, გადაისინჯა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გადაკეთდა ინდივიდუალური საწვრთნო გეგმები, გუნდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოლექტივის ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ადრე ამაზე არავინ ზრუნავდა, არავის უფიქრია, რომ საჭირო იყო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლა, ნაკრების ყველა წევრის თავშეყრა, საერთო კრების ჩატარება, გუნდის ამოცანებზე მსჯელობა. კოლექტივის ხელმძღვანელობიდან არავინ დაინტერესებულა მწვრთნელების, სპორტსმენების აზრის მოსმენით.

ყველა თავისთვის ცდილობდა რაღაცისთვის მიეღწია. წვრთნა გავდა კარჩაკეტილ მუშაობას, როცა კაცმა არ იცის, რა ხდება კარს მიღმა, სადაც უფრო დიდი პრობლემები წყდება — კოლექტივის საერთო ამოცანებზე სიტყვა არავის დასცდენია. თვით მწვრთნელებიდან, სპორტსმენებიდანაც კი არავის აღმოაჩნდა გამბედაობა, რომ ასეთი ღონისძიების ჩატარება მოეთხოვა.

სპორტსმენთა ჯგუფთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ თბილისში ვარჯიშების დროს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა საცხოვრებლის სასადილოში, სადაც რესპუბლიკის სხვა ნაკრები გუნდების წევრებიც იკვებებიან, ბევრი რამ მოსაწესრიგებელია. მძლეოსნები განსაკუთრებით უჩივიან არაკალორიულ კერძებს, იმას, რომ სადილები ექიმების მენიუს გარეშე მზადდება, რძის პროდუქტებს მხოლოდ დილით თუ ნახავთ, რაც ფაქტების ადგილზე შემოწმებამაც დაადასტურა.

საქართველოს სპორტკომიტეტმა შუა მარტიდან ნაკრების ხელმძღვანელობა გადაახალისა. ახლა გუნდის მზადებაზე პასუხისმგებლები არიან სპორტკომიტეტის განყოფილების უფროსი, სპორტის ოსტატი ა. ბედუკაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები — გუნდის უფროსი მწვრთნელი რ. ტრაპაიძე და მისი მოადგილე ე. გაგუა, ექიმები — თ. ქუთათელაძე და ვ. ცისკარიშვილი და სხვანი. ე. მასლოვსკი ნაკრებს ჩამოაშორეს, მაგრამ კომპლექსურ-სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელობა მაინც ანდეს. სამწუხაროდ, მას არც აქ გამოუჩენია თავი. როგორც ამ ჯგუფის წევრებმა და ნაკრების ხელმძღვანელობამ აღიარეს, სამეცნიერო ჯგუფი აქამდე არც ერთ შეკრებას არ დასწრებია, არც ერთი მწვრთნელის მუშაობა არ შეუსწავლია და არ გაუანალიზებია, რომ საჭიროების შემთხვევაში სათანადო მითითებანი მიეცა მათთვის.

დასამალი არც ის არის, რომ ნაკრების მწვრთნელები, გუნდის ხელმძღვანელობა აქამდე არ იყენებდა ვეტერან-სპეციალისტების რჩევას, აზრს არავინ ეკითხებოდა მათ. არადა, ვეტერანებს ბევრი სასარგებლოს გაკეთება შეეძლოთ.

კითხვაზე, როგორ ემზადებიან საქართველოს მძლეოსნები სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის, როგორ იზრდება მათი ტექნიკური დონე, პასუხს გასცემს თბილისისა და საქართველოს სპარტაკიადები, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების გუნდების ტრადიციული მატჩი.

— ამ და სხვა შეჯიბრებებზე, მათ შედეგებზე ბევრია დამოკიდებული. ეს ტურნირებია ჩვენი გუნდის ოსტატთა რიგების ზრდის უკანასკნელი შანსი, ვინაიდან უფრო დაბალი თანრიგის სპორტსმენის სპარტაკიადაში გამოყვანის უფლება არ გვაქვს. მატჩში გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც გვჭირდება, ამიტომაც ამ სტარტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, — გვითხრა ა. ბედუკაძემ.

ცხადია, სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში გუნდის წევრების მიერ მარტამდე გაცდენილის ანაზღაურება ძნელია. თითქმის შეუძლებელია ყველა, 16 სპორტის ოსტატობის კანდიდატმა (ახლა ნაკრებში 36 წევრია, რადგან თვის დასაწყისში რამდენიმე უპერსპექტივო კოლექტივიდან გაუშვეს) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულოს, მაშასადამე, მოსკოვის საგზური მიიღოს, მაგრამ მათ შორისაც არის რამდენიმე, რომელთა იმედი უნდა გვქონდეს. და თუ ვარაუდს ისინიც გაგვიმტყუნებენ, გუნდის წინაშე დასმულ ამოცანას შეუსრულებლობა ემუქრება.

მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა ყოველი დღე, ყოველი საათი შედეგების ზრდას უნდა მოახმარონ, მათი საქმიანობის ყოველი წუთი მტკიცე კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი, კომპლექსურ-სამეცნიერო ჯგუფმა მთელი თავისი ცოდნა უნდა გამოიყენოს ანალიზებისთვის, რომლებიც მძლეოსნების მაჩვენებლების ამაღლებას უზრუნველყოფენ.

ჯ. ათაბეგოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ო. გელაშვილი.

რით ცხოვრობს სტუდენტური სპორტი?

მეტის გაკეთებაც შეიძლება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი, ნათელი შენობა ქალაქგარეთ, მცხეთის გზაზე, მომაღლო სერზეა აგებული და ზემოდან გადმოჰყურებს დიღმის მტკვრისპირა სანახებს. სასწავლო კორპუსი ფართო იატაკიდან ჭერამდე შემინული დერეფნით უკავშირდება სპორტულ კომპლექსს. დერეფანი იმდენად ფართოა, რომ ორ მაგიდაზე მოთამაშე ჩოგბურთელებიც ერთობ ლაღად გრძნობენ თავს.

...ჩოგბურთელებს გვერდი ავუარე და ფიზაღზრდის კათედრის გამგეს, კონსტანტინე ლაბარტყავას მივაშურე. ეს კაცი უკვე 30 წელია ინსტიტუტში მუშაობს და რომ იტყვიან, მის ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობს.

— ჩვენი უმთავრესი მიზანია მასობრივად ჩავაბათ სტუდენტობა სპორტში,—ამბობს, კ. ლაბარტყავა, — ამასთან არანაკლებ ყურადღებას ვაქცევთ განსაკუთრებით პერსპექტიული ახალგაზრდების წვრთნას და სექციურ მუშაობას. მართალია, ჩვენი სპორტკლუბის 21 სპორტსმენი რესპუბლიკის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში ირიცხება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გვაკმაყოფილებს.

ინსტიტუტში 19 სპორტული სექცია მუშაობს. სპორტული ბაზები ყველას ყოფნის. მწვრთნელებსაც არ აკლიათ მონდომება და გამოცდილება. სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს ამ სპორტკლუბის მოღვაწეობას (თავმჯდომარის შტატი არა აქვთ, საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი ო. ნათიშვილი), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე გიორგი ხოშტარია გახლავთ. გიორგის ფაქტები უყვარს — ყველაფერი ზუსტად აღნუსხული აქვს. გადავათვალიერეთ სპორტკლუბის იმ 21 სპორტსმენის სია, რომლებიც საქართველოს ნაკრებში გამოდიან. მათგან 9 მოჭიდავეა.

* * *

...საჭიდაო დარბაზში ორნი დამხვდნენ. რაფიელ გამბაროვი კლასიკური ჭიდაობის მიმდევართ ავარჯიშებს, ხოლო გოგი ქარუხნიშვილი — თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს. ქართული ჭიდაობისა და სამბოს სპეციალისტი სპარტაკ ჯინორიძეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა აქ არ გახლავთ, — მითხრეს მასპინძლებმა.

რაფიელი და გოგი ახალგაზრდები არიან. ორივეს მივმართავ:

— ჩანს, რომ ინსტიტუტში ყველაზე პოპულარული სახეობა ჭიდაობაა...

ჯერ გოგი მპასუხობს — სტუდენტები ძალიან მონდომებული არიან, ვარჯიშებს თითქმის არ აცდენენ, ზოგჯერ დამატებითაც რჩებიან.

სიტყვა რაფიელმა ჩამოართვა — დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკს. დეკანატები ძალიან გვიწყობენ ხელს, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეც“ გვეხმარება, გვაძლევენ უმაღლესი ხარისხის სპორტულ ფორმებს, ტურნირთა პრიზიორებს ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებენ, ჰოდა, ბიჭებიც ცდილობენ რაც შეუძლიათ. აი, წლეულს საკავშირო პირველობის ზონალურ შეჯიბრებაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის II ადგილზე გავედით კლასიკურ ჭიდაობაში... გუნდში საქართველოს სამი ჩემპიონი გვყავს: ხატიაშვილი, სურმავა და ყიფიანი.

ინსტიტუტში გახსნილია, აგრეთვე, ფრენბურთის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთის, ტანვარჯიშის და სპორტის სხვა სახეობათა სექციები.

როგორც ხედავთ, სექციები მრავლადაა, თუმცა, მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია.

დასკვნითი საუბრისთვის ისევ ფიზაღზრდის კათედრის გამგეს მივაშურე. კოტე ლაბარტყავა კალათბურთელებს წვრთნის. სპორტის ამ სახეობაში ინსტიტუტს დიდი ტრადიციები აქვს.

— შარშან ექვსმა წამყვანმა კალათბურთელმა დაამთავრა ინსტიტუტი და საგრძნობლად დავსუსტდით. ბუნებრივია, წარმატებებმაც იკლო.

ერთად დავათვალიერეთ ბაზები. ალბათ საქართველოს არც ერთ ინსტიტუტს არ გააჩნია ასეთი კარგი დარბაზები და მოედნები ღია ცის ქვეშ, თუმცა, ხარვეზები აქაც არის. დამსკდარია და შეკეთებას საჭიროებს სარბენი ბილიკები, საფეხბურთო მინდორს მორწყვა სჭირდება, მაგრამ არ ხერხდება წყლის მილის დაზიანების გამო, დარბაზები კარგად არ თბება.

— მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადებაში ძალიან გვიშლის ხელს საცურაო აუზისა და ტირის უქონლობა, ყოველ წელს მათი დაქირავება ძვირი ჯდება.

ინსტიტუტის რექტორატში გაირკვა, რომ აუზის მშენებლობა მალე დაიწყება და 1980 წელს დამთავრდება. გადაწყვეტილი აქვთ, აგრეთვე, სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენება შავი ზღვის სანაპიროზე. ამ გეგმების განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს ინსტიტუტში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გამოცოცხლებას, სპორტსმენებს საშუალება ექნებათ მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად ივარჯიშონ. მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც კადრებია. ინსტიტუტში სპორტული თვალსაზრისით მეტად მოუმზადებელი ახალგაზრდობა მოდისო, ერთხმად ჩივიან მწვრთნელები.

ახლა შევეცდებით მოკლედ შევაჯამოთ მოსმენილ-ნანახი:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს აქვს კარგი სპორტული ბაზები, ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელები, გაშლილია სექციური მუშაობა, მოქმედებს მშდ კომპლექსის კომისია და მეთოდური საბჭო, ფიზაღზრდის კათედრასა და სპორტკლუბს აქტიურ დახმარებას უწევენ ინსტიტუტის დეკანატები, რექტორატი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“.

შედეგები?

1978 წელს მომზადდა 7 სპორტის ოსტატი, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 15 პირველთანრიგოსანი, 264 მეორე და მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი. მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა 389 სტუდენტმა.

ცალკეულ წარმატება-წარუმატებლობაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი. ეს კარგად იციან ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა, და, ვფიქრობთ, ცდას არ დააკლებენ, რომ ფიზკულტურა და სპორტი თითოეული სტუდენტის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდეს.

ს. სიმონიშვილი.

* * *

სურათზე: ინსტიტუტის მძლეოსნები კროსის დისტანციაზე.
ავტორის ფოტო.

ძნელია საჩემპიონო გზა...

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 27 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 3:0 (1:0).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, (დურდიაძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, მინაშვილი, ჩელებაძე, შენგელია (კოპალეიშვილი).

„ზარია": კნიაზევი, ნაიდენკო, მალიგინი, იგნატენკო, სოროკალეტი, შევლიუკი, გომულა (ზავაროვი), პოლუკაროვი, კოლესნიკოვი, ლეონოვი (გალუსტოვი), ბოკოვი.

მსაჯი: ვ. აქსელევიჩი (მოსკოვი).

გოლები — ჩელებაძე 42-ე და 75-ე (პენალტით) წუთები, მინაშვილი (47).

მაგიდაზე ორი წერილი მიდევს. ერთი 4 აპრილით არის დათარიღებული, მეორე — 19 აპრილით. პირველის ავტორია იური გელოვანი (დაბა კულაში), მეორისა — მარინა ჯავახიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი). ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" მატჩის შემდეგ ეს წერილები კიდევ ერთხელ გადავათვალიერე.

გელოვანს გულდაგულ დაუანგარიშებია ქულათა ის რაოდენობა, რაც შარშან ჩვენმა მეტოქეებმა თბილისის „დინამოსთან" შეხვედრების შემდეგ მოაგროვეს მომდევნო მატჩებში. ეტყობა, ამ არც თუ იოლი სამუშაოსათვის ავტორს იმ მოსაზრებამ მოაკიდებინა ხელი, რომ თბილისელებთან ყველა მეტოქე განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. სტატისტიკამ ასეთი სურათი მოგვცა: თბილისის „დინამოსთან" შეხვედრების შემდეგ ნათამაშევ მომდევნო მატჩში გუნდებმა 58 შესაძლებლიდან 21 ქულა მოაგროვეს. საინტერესოა, რომ ეს 21 ქულა გუნდებმა საკუთარ მინდორზე თამაშისას აიღეს. ყველა კოლექტივი, რომელიც თბილისელებთან შეხვედრის შემდეგ სტუმრად თამაშობდა, დამარცხდა. საგულისხმოა ერთი დეტალიც: ეს 21 ქულა შინ ნათამაშევი 18 (!) მატჩის მონაგარია. ამ მაჩვენებლებით თბილისის „დინამო" ბევრად უსწრებს უმაღლესი ლიგის სხვა ბინადართ და ვინაიდან ციფრების ენა მაინც უფრო დამაჯერებელია, ავტორის დასკვნაც ამ სტატისტიკის ფონზე სავსებით ლოგიკურად გამოიყურება: ყველაზე მეტ ენერგიას გუნდები თბილისის „დინამოსთან" ხარჯავენ.

მეორე წერილი ასე იწყება: „კარგა ხანია შევიჩნიეთ იმას, რომ „დინამოს" წამყვანი ფეხბურთელებიდან ერთი მაინც უნდა იყოს ტრავმირებული. მაგრამ დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, უკვე მეტისმეტია — გოგია, კოსტავა, კანთელაძე, რუხაძე, ყიფიანი, სულაქველიძე"... (ამ სიას წერილის გამოგზავნის შემდეგ გუცაევი და გ. მაჩაიძეც დაემატნენ).

გასაგებია ავტორის გულისწყრომა და კითხვაც — „რას ნიშნავს ეს?"

წლევანდელი სეზონის დასაწყისში გამოთქმული მოსაზრება, რომ 1979 წლის საფეხბურთო სეზონი ძალზე ძნელი იქნებოდა თბილისის „დინამოსთვის", საფუძველს მოკლებული არ არის. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემპიონის ტიტული ერთობ მძიმე სატარებელი ტვირთია. თასზე ნათამაშევი 6 და ჩემპიონატის ამდენივე მატჩის შემდეგ ეს მოსაზრება დასტურდება.

„ზარიასთან" სათამაშოდ თბილისის „დინამო" განსხვავებული (ამ სიტყვის პირდაპირი, ზუსტი გაგებით) შემადგენლობით გამოვიდა და თუ ჩემპიონის გამარჯვება მაინც შთამბეჭდავი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდი სერიოზულად მოემზადა წლევანდელი სეზონისთვის, ჰყავს არც თუ ურიგო რეზერვი და თითოეულ ფეხბურთელს კარგად ესმის, რომ სწორედ გაჭირვების დროს არის საჭირო რაც შეიძლება უკეთესად თამაში, რომ გუნდისაგან არანაკლებ წარმატებას მოელიან წლეულსაც.

ისევ იმ ორ ავტორს დავუბრუნდები. პირველ და მეორე წერილებს უთუოდ აქვთ რაღაც საერთო. უფრო სწორად, გუნდში ერთობ მომრავლებული ტრავმები პირდაპირი შედეგი უნდა იყოს იმ მეთოდებისა თუ დამოკიდებულებისა, რასაც მეტოქეები შარშან ვერცხლის პრიზიორის, წლეულს კი ჩემპიონის წინააღმდეგ იყენებენ თუ ავლენენ მინდორზე ბრძოლისას.

გავიხსენოთ მატჩი მინსკის „დინამოსთან". თუ რამე შეიძლება ითქვას ჩვენს მაშინდელ მეტოქეზე, მხოლოდ ის, რომ თითქმის ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ თბილისელი მინდორზე იწვა, ერთადერთი ნუგეში კი მსაჯის სასტვენი იყო. ფეხბურთში ამგვარი ჯარიმები „ხელოვნურად" ჩაშლილი შეტევის ერთობ მცირე საზღაურია. „მეტი არ შეუძლიათ და რა ქნანო", — იტყვიან ხოლმე. მართლაცდა, არაფერი, და ასე, ქაღალდზე მსჯელობაც მგლის თავზე სახარების კითხვას უფრო ჰგავს.

თუ ასე გაგრძელდა... კაცმა რომ თქვას, ამ საქმეს სასიკეთო პირი ჯერ არ უჩანს და არც გამოუჩნდება, სანამ უმაღლესი ლიგის ყველა თუ არა, მეტი წილი გუნდები მაინც ისეთი ფეხბურთელებით არ დაკომპლექტდება, მეტოქეს და განსაკუთრებით კი ფეხბურთს რომ სცემენ პატივს. რა თქმა უნდა, ამ პროცესის დაჩქარებაში ავტორიტეტული სიტყვა მსაჯებსაც შეუძლიათ თქვან. სასიამოვნოა, რომ საამისო ნიშნები უკვე გამოჩნდა: ჩემპიონატის 6 მატჩში არბიტრებმა თბილისელთა მეტოქეები ექვსჯერ დასაჯეს პენალტით. ამგვარ შეგონებას უამრავი დადებითი მხარე აქვს და არ შეიძლება ამას შედეგი არ მოჰყვეს.

გუშინწინდელ მატჩში მასპინძლებმა თავიდანვე იზრუნეს იმისათვის, რომ 2 ქულა პირველ ტაიმშივე გაენაღდებინათ. „დინამოელთა" შეტევებს მართალია, აკლია ჩვეული სიმძაფრე, მაგრამ მონდომებამ თავისი ქნა — ტაიმის მიწურულს ჩელებაძის დარტყმის შემდეგ ბურთი კნიაზევის კარში აღმოჩნდა — 1:0. ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ ისახელა თავი მინაშვილმა. 47-ე წუთზე გატანილი გოლი იმ კატეგორიას ეკუთვნის, ასე რომ გაიშვიათდა ჩვენს სტადიონებზე.

და, ბოლოს, პენალტი — მცველები უხეშად ეთამაშნენ საჯარიმოში შეჭრილ მინაშვილს. გამეორდა „ფახტაქორთან" მატჩის სცენა, არბიტრმა საგულდაგულოდ შეამოწმა ადგილი, სადაც მცველებმა წესი დაარღვიეს და უყოყმანოდ აჩვენა 11-მეტრიანი საჯარიმოს ნიშანზე. ჩელებაძემ ოსტატურად დაარტყა — 3:0.

ი. გერიაშვილი.

• • •

სურათებზე: თბილისის „დინამოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" შეხვედრის მომენტები. დინამოელები ზეიმობენ პირველ გატანილ გოლს; ვ. დარასელია (შუაში) ურტყამს სტუმრების კარში; თბილისელთა ცენტრფორვარდი რ. ჩელებაძე ბურთით.

ქ. შანიძისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები.

უმაღლესი ლიგა

● ფეხბურთი

I ლიგა

27 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის VIII ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ ვილნიუსში „ჟალგირისთან". შეხვედრა მოიგო „ჟალგირისმა" ანგარიშით 1:0.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 1:1, ასკ (ოდესა) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:1, „კარპატი" (ლვოვი) — „თერგი" (გროზნო) 2:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:0, „ტრაქტორი" (პავლოდარი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შინიკი"	8	5	3	0	14—4	13
„კარპატი"	7	5	1	1	11—4	11
„ურალმაში"	8	4	3	1	11—6	11
„ტრაქტორი"	8	4	3	1	7—3	11
„სპარტ." ი.-ფ.	8	4	2	2	6—5	10
„ჟალგირისი"	8	3	4	1	10—5	10
„ტორპედო"	8	3	4	1	6—4	10
„კუბანი"	7	4	1	2	7—7	9
„დნეპრი"	8	3	3	2	9—10	9
„კუზბასი"	8	4	0	4	8—6	8
„ფაკელი"	7	3	2	2	10—7	8
„მეტალისტი"	8	3	2	3	6—7	8
„სპარტ." ნ.	8	2	4	2	8—8	8
„პამირი"	7	3	1	3	5—8	7
„ტავრია"	8	3	1	4	5—9	7
ასკ ოდ.	8	2	3	3	9—8	7
„ალგა"	8	2	2	4	9—11	6
„ზვეზდა"	8	2	2	4	6—8	6
„კოლხოზჩი"	8	1	4	3	6—9	6
„დინამო" ლ.	8	2	1	5	10—13	5
„სპარტ." ორ.	8	2	1	5	5—9	5
„თერგი"	8	0	5	3	4—10	5
„ნისტრუ"	8	0	5	3	3—8	5
„მეტალურგი"	8	1	1	6	7—13	3

საინტერესო ნაშრომი

ახლახან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა საინტერესო ნაშრომი ფეხბურთზე — ორტომეული „ფეხბურთი წარსულსა და თანამედროვეობაში. გერმანული ფეხბურთის ისტორია". ეს ფუნდამენტური წიგნი შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ, რომელსაც სათავეში უდგას წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ამჟამად ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი **მარტინ ცოლერი.**

მრავალი ფაქტი და დოკუმენტი იქნა მოძებნილი არქივებში გერმანული ფეხბურთის ისტორიის შესავსებად.

წიგნის პირველ ტომში განხილულია გერმანული ფეხბურთის ისტორია დასაბამიდან 1945 წლამდე. გერმანიაში ფეხბურთის დაარსების თარიღად ითვლება 1880 წელი, როდესაც ჩატარდა პირველი ოფიციალური მატჩები ბრემენის გუნდებს შორის. ამ ქვეყანაში ფეხბურთმა გავრცელება დაიწყო ჩრდილოეთის საპორტო ქალაქებიდან, სადაც ეს თამაში ინგლისელმა მეზღვაურებმა შემოიტანეს. ფეხბურთმა სწრაფად მიიზიდა გერმანელი ახალგაზრდობის — მოსწავლეებისა და სტუდენტების, შემდეგ კი მუშა ახალგაზრდობის ყურადღება.

წიგნის ავტორები სამართლიანად თვლიან, რომ მათ ქვეყანაში ფეხბურთის აღორძინება იწყება საბჭოთა არმიის მიერ გერმანული ფაშიზმის განადგურების შემდეგ. გერმანული ფეხბურთის განვითარების, თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანის საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა ნაკრებმა და საკლუბო გუნდებმა. 30 წლის განმავლობაში ნაკრებმა არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე. საკმარისია ითქვას, რომ გუნდმა ჩაატარა 153 მატჩი, რომელთაგან მოიგო 71, წააგო 36 და ფრედ ითამაშა 46, ბურთების სხვაობით 282—195.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ავტორები იმ დახმარებას, რომელიც გდრ-ის ფეხბურთს აღმოუჩინეს საბჭოთა სპეციალისტებმა — ა. ჩერნიშოვმა, კ. ბესკოვმა, ა. ხომიჩმა და სხვ. ფართოდ არის შესწავლილი აგრეთვე ის მეგობრობა და სპორტული თანამშრომლობა, რომელიც დამყარებულია სოციალისტური თანამეგობრობის სპორტულ ორგანიზაციათა შორის. აღნიშნულია თანამშრომლობის ის მომენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გდრ-ის ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის.

ფეხბურთის ისტორიის ორტომეულმა უმალ მიიპყრო სპორტის მოყვარულთა ყურადღება როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წიგნი, რომელიც უხვად არის დასურათებული, უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა.

კარგი იქნება თუ ჩვენც მივბაძავთ ამ მაგალითს და ქართული ფეხბურთის ისტორიის წიგნს შევქმნით. ცნობილია ჩვენი ფეხბურთის განვითარების გზები და მისი მიღწევები დიდ ასპარეზზე. მაშ, მოვკიდოთ ხელი ქართული ფეხბურთის ისტორიის ღრმა შესწავლას.

პ. ცქიტიშვილი,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, თასები, პირველები

გდრ

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორსაა, მიმომხილველები უკვე თამამად ასახელებენ გამარჯვებულს — ბერლინის „დინამოს". ამ გუნდმა ჩემპიონატში არნახულ წარმატებას მიაღწია — 19 თამაშის შემდეგ აქვს 35 (!) ქულა — 16 მოგება და 3 ფრე, ბურთების სხვაობით 53—9. ეს ყველაზე მაღალი შედეგია ევროპის ქვეყნების 1978-79 წლების ჩემპიონატებში.

დრეზდენის „დინამო" ლიდერს მთელი 7 ქულით ჩამორჩება. საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან, აგრეთვე, „მაგდებურგი" და იენის „კარლ ცაისი", რომლებსაც 25-25 ქულა აქვთ.

გფრ

26 ტურის შემდეგ სულ 3 გუნდი იბრძვის ჩემპიონობისთვის: „კაიზერსლაუტერნი", „შტუტგარტი" და „ჰამბურგერ შპორტფერაინი".

XXV ტურში „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" მიიღო ლიდერი — „კაიზერსლაუტერნი" და მძიმე მარცხი აგემა — 3:0, მაგრამ მომდევნო ტურში იძულებული გახდა ფრეს (3:3) დასჯერებოდა გასვლით მატჩში აუტსაიდერ „ნიურნბერგთან". ამასობაში „კაიზერსლაუტერნმა" შინ დაამარცხა დორტმუნდის „ბორუსია" (3:1) და ისევ გამოასწორა მდგომარეობა. „შტუტგარტმა" 4 ქულა მოიპოვა: ჯერ სტუმრად მოიგო (2:1) მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტთან", ხოლო შემდეგ ანგარიშით 5:1 შინ დაამარცხა „არმინია" (ბილეფელდი).

XXVI ტურის შემდეგ „კაიზერსლაუტერნს" 38 ქულა აქვს, „შტუტგარტს" — 36, „ჰამბურგერ შპორტფერაინს" — 34, მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს" —31.

უნგრეთი

პირველ ადგილზე პრეტენზიას ახლა 3 გუნდი აცხადებს: ბუდაპეშტის „დოჟა-უიპეშტი", „ფერენცვაროში" და „ჰონვედი", ამასთან უკეთეს შესაძლებლობებს „დოჟა-უიპეშტი" ინარჩუნებს.

XXIV ტურში „დოჟა-უიპეშტი" სტუმრად თამაშობდა სომბათჰეიში „ჰალადაშთან" და ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 1:0. მოიგო მისმა ორივე მდევარმაც, რომლებიც შინ თამაშობდნენ. „ფერენცვაროშმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბუდაპეშტის „ვაშაშ-იცო" (არ ავურიოთ უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონ ბუდაპეშტის „ვაშაშთან"), ხოლო „ჰონვედმა" ანგარიშით 1:0 მოუგო „ვედეოტონს" (შეკეშფეჰერვარი).

XXIV ტურის შემდეგ „დოჟა-უიპეშტს" 38 ქულა აქვს და 4 ქულით უსწრებს „ფერენცვაროშს". „ჰონვედმა" 33 ქულა მოაგროვა.

პოლონეთი

მიმდინარე ჩემპიონატს, აშკარა ფავორიტი არა ჰყავს — საპრიზო ადგილებისთვის რამდენიმე გუნდი იბრძვის.

XXI ტურში იმ გუნდებიდან, რომლებიც პირველ ოთხეულში არიან, მხოლოდ ლოძის „ვიძევმა" გაიმარჯვა (ვარშავაში, „გვარდიასთან" — 2:1). ლიდერი — „რუხი" (ხოჟუვი) სოსნოვეცში ფრეს (0:0) დასჯერდა „ზაგლემბიესთან". ასეთივე შედეგით დამთავრდა ვარშავის „ლეგიას" მატჩი ლოძში ადგილობრივ ლკ-სთან, ხოლო „ოდრამ" (ოპოლე) კრაკოვში ფრედ (1:1) ითამაშა „ვისლასთან".

ახლა „რუხს" 29 ქულა აქვს. „ლეგიამ" (ვარშავა) 2 ქულით ნაკლები მოაგროვა, „ვიძევს" (ლოძი) ასევე 27 ქულა აქვს, „ოდრას" (ოპოლე) — 25.

ჩეხოსლოვაკია

XXI ტურში ლიდერმა — „დუკლამ" (პრაღა) ფრედ ითამაშა კოშიცეში „ლოკომოტივთან" — 0:0. დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა ბრნოში „ზბროიოვკასა" და ოსტრავას „ბანიკს" შორის, რომლებიც ასევე იბრძვიან ჩემპიონობისთვის. ფრე — 1:1. ტრნავის „სპარტაკმა" ანგარიშით 1:0 მოუგო ბრატისლავის „ინტერს".

XXI ტურის შემდეგ 30 ქულით წინ არის „დუკლა". „ბანიკს" 27 ქულა აქვს, „ზბროიოვკას" — 24, ტრნავის „სპარტაკს" — 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაფიქრებელი შედეგები

თბილისის VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა პირად-გუნდურმა ასპარეზობამ ძალოსნობაში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა, „დინამოს“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვებისა“ და არმიის სპორტკლუბის 43 ძალოსანს მოუყარა თავი.

სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისათვის გუნდური ბრძოლა ძირითადად „ბურევესტნიკის“, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ წარმომადგენლებს შორის გაჩაღდა. საბოლოოდ გამარჯვება განთიადელებს დარჩათ — 46 ქულა, „ბურევესტნიკის“ გუნდი მეორე ადგილზე გავიდა (39 ქულა), „კოლმეურნისა“ კი — მესამეზე (32).

პირადი შეჯიბრების ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ ახალბედა ძალოსნებს მხარდამხარ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებიც გამოდიოდნენ — თ. სითათაშვილი, ა. ჭიტაძე (ორივე — „კოლმეურნე“), რ. ტონოგანიანი, დ. ხიზამბარელი და ზ. ნადირაშვილი (სამივე—„განთიადი“). როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე სპორტსმენი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ს. ალიევმა („განთიადი“, 80+95=175); ვ. ბალათურიამ („კოლმეურნე“, 90+115=205); ს. მერაბოვმა („სპარტაკი“, 80+110=190); თ. სითათაშვილმა („კოლმეურნე“, 110+145=255); ც. ნარსიამ („ბურევესტნიკი“, 117,5+150=267,5); ა. ჭიტაძემ („კოლმეურნე“, 130+170=300), რ. ტონოგანიანმა („განთიადი“, 140+170=310); ტ. ძაგოევმა („კოლმეურნე“, 135+165=300); დ. ხიზამბარელმა („განთიადი“, 140+160=300); ზ. ნადირაშვილმა („განთიადი“, 130+170=300).



სამწუხაროდ, სრულყოფილი გუნდის გამოყვანა ვერც ერთმა სპორტსაზოგადოებამ ვერ შესძლო, ყველაზე მეტი წარმომადგენელი (9) „განთიადს“ ჰყავდა, ყველაზე ნაკლები (1) — „სპარტაკს“. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ უმჩატეს, მჩატე და პირველ მძიმე წონაში თითო მონაწილე ასპარეზობდა.

— ის ფაქტი, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეთა საკმაოდ მცირე რაოდენობა გამოვიდა და შედეგებიც დაბალი იყო, იმაზე მეტყველებს, რომ დედაქალაქში ძალოსნობა ჯერ კიდევ ვერაა სასურველ დონეზე განვითარებული, — გვითხრა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა შ. ბუაძემ, — მართალია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მაგრამ თვით დარბაზი ვერ პასუხობდა მოთხოვნებს და ალბათ ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ თავიანთი შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოავლინა. ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები სპარტაკიადის წინა დღეებში ჩამოვიდნენ თბილისში, გადაღლილები იყვნენ და მაღალი შედეგები ვერ აჩვენეს, თანაც ისინი სპეციალური გრაფიკით ვარჯიშობენ და საუკეთესო სპორტულ ფორმას საკავშირო სპარტაკიადისათვის მიაღწევენ.

ა. ჭანტურია.

• • •

სურათზე: ა. ჭიტაძე ასპარეზობისას.

ე. ხუცურაულის ფოტო

● ველოსპორტი

წარმატებით დაიწყეს

საბჭოთა ველოსიპედისტებმა იოლად მოიგეს იტალიის IV საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დელე რეჯიონის“ პირველი ეტაპი. ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესო გახლდათ ლენინგრადელი ს. მოროზოვი, რომელმაც 124 კილომეტრი 2 საათსა და 53 წუთში დაფარა. მანვე მოიგო სამთო პრიზი — „გრან პრემიო დელლა მონტანია“. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე, 3600 მეტრზე გუნდურ რბოლაში — 4.43,62.

გაიმარჯვეს უკრაინელებმა

ზაპოროჟიეში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. 100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ოქროს მედალი მოიპოვა ვ. ნემილოვმა (ბელორუსია) — 16,7, ხოლო გუნდური პირველობა მოიგო მოსკოვის უმაღლესი საინჟინრო-სახანძრო ტექნიკური სკოლის ნაკრებმა.

4X100 მეტრზე სახანძრო ესტაფეტაში ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს გუნდი — 1.05,3, ხოლო საიერიშო კიბით სასწავლო კოშკურის IV სართულზე ასვლაში გამარჯვებული გამოვიდა ზაპოროჟიელი ა. ნედოსტუპი — 14,1.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უკრაინის ნაკრებმა იმარჯვა.

არავითარი მხარდაჭერა რასისტებს!

ჯორჯტაუნი. ცნობილმა ამერიკელმა სპორტსმენმა მუჰამედ ალიმ, რომელიც გაიანას ეწვია, მკაცრად გააკრიტიკა აპარტეიდის რეჟიმი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ჟურნალისტებთან შეხვედრაში მან განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთაფრიკელ რასისტებს მხარს უჭერენ დასავლეთის სახელმწიფოები. ეს დახმარება ახლავე უნდა შეწყდეს და დასავლეთის ქვეყნებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტს. თვითონ მუჰამედ ალის განზრახული აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაიანის მცხოვრებლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ალის. ადგილობრივმა პრესამ ღირსეულად შეაფასა ამერიკელი სპორტსმენის წვლილი რასობრივი დისკრიმინაციისა და ვიეტნამში ომის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის, ოლიმპიური „ოქროს“ მფლობელმა, მძიმეწონოსანმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ განაცხადა, რომ იგი ორ თვეში დატოვებს დიდ სპორტს. (საქდესი).

სურათზე: მ. ალი (მარცხნივ) ბრძოლის დროს.

საქდესის ფოტო.

ძვირფასია, რაც ძნელად მოიპოვება

„მე მივეჩვიე ისე ვიასპარეზო, თითქოს მეტოქენი საერთოდ არ მყავდეს, ყოველთვის, როცა სტარტზე გავდივარ, იმაზე კი არ ვფიქრობ აუცილებლად გავიმარჯვო, არამედ გამოვავლინო მთელი ჩემი შესაძლებლობანი“. ეს სიტყვები ეკუთვნის შარშანდელი მძლეოსნური სამყაროს საოცრებას, კენიელ სტაიერს ჰენრი რონოს, რომელმაც სეზონის დამლევს, როცა იგი უკვე 4 მსოფლიო რეკორდის ავტორი იყო, თქვა:

„ახლა ჩემი ოცნებაა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლის მოპოვება. მე იმ დროს 28 წლის ვიქნები. ეს ბევრი როდია. მანამდე კი წინ სრული სეზონი მაქვს და, დარწმუნებული ვარ ოლიმპიადის წინა წელს ჩრდილში არ მოვექცევი“.

მართლაც, რონომ შესანიშნავად ჩაატარა შარშანდელი მძლეოსნური სეზონი და მსოფლიო აალაპარაკა. შესაძლოა სამყაროს იგი უფრო ადრეც გაეცნო, რომ კენიის გუნდი, რომელიც მონრეალის ოლიმპიადაზე ჩამოვიდა, პოლიტიკური მოსაზრების გამო თამაშებს არ გასცლოდა.

რონომ მძლეოსნობას მონრეალში ჩამოსვლამდე 4 წლით ადრე, 20 წლისამ მოჰკიდა ხელი. თავისთავად, სხვა სპორტსმენების რჩევით ვარჯიშობდა, მონრეალში კი გადაწყვიტა აშშ-ში ესწავლა და მალე ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იმავე წლის დამლევს აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატი მოიგო 10 კილომეტრზე კროსში — 28.06, როცა მსოფლიოს რეკორდსმენი, თანამემამულე ს. კიმობვა აიძულა II ადგილს დასჯერებოდა.

მან ამ შეჯიბრებაში მეტოქეთ სტარტიდანვე ძალზე მაღალი ტემპი შესთავაზა და მას ბოლომდე გაუძლო, რითაც სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. მერეც, სხვა შეჯიბრებების დროს, მაშინაც კი, როცა მსოფლიოს რეკორდებს ამყარებდა, რონო მუდამ სტარტიდან ლიდერობდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ რეკორდი 3000 მეტრზე. მაშინ ჰენრი შუა დისტანციიდან დაწინაურდა.

რონოს რეკორდების გრაფიკიც კი ერთობ უთანაბროა და იგი „აფეთქებებით“ ხასიათდება. ამასთან, ყოველთვის აქვს ძალა შემონახული ბოლო კილომეტრი გაცილებით უფრო სწრაფად დაფაროს. მაშინაც კი, როცა რონომ თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (ბერკლის სტადიონზე 8 აპრილს), მეხუთე კილომეტრი 2 წუთსა და 33,7 წამში გაირბინა, — 4-8 წამით სწრაფად, ვიდრე დანარჩენი კილომეტრების გასარბენად იყო საჭირო. მაშინ მან პირადი მიღწევა (13.22.1) ერთბაშად 13.7 წამით გააუმჯობესა. რონოს მსოფლიო რეკორდი — 13.08,4 წინა წელს რ. კვოკსის მიერ დამყარებულ მიღწევას 4,5 წამით აღემატებოდა (თვით კვოკსმა ე. პუტემანსის 5 წლის წინანდელ რეკორდს მხოლოდ 0,1 წამი ჩამოაკლო).

საშუალო ტანის ჰ. რონო (170 სმ, 64 კგ) ამჟამად 27 წლისაა. იგი ფენომენალურ შედეგებს დაუღალავი შრომით აღწევს. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ კმარა თუ ვიტყვით, რომ შარშანწინ მან მსოფლიოს 10 ქვეყანაში გამართულ 29 დიდ შეჯიბრებაში სცადა ძალა, შარშან კი 14 ქვეყნის 43 ასპარეზობაში გამოვიდა. მარტო ივნისში აშშ-ში, ავსტრიაში, კენიაში, გფრ-ში, ინგლისში, ნორვეგიასა და ფინეთში 10 შეჯიბრებაში სცადა ძალა. უფრო მეტიც, 1 ივნისს ამერიკის პირველობაში ჯერ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში იმარჯვა, 4 საათის შემდეგ კი 5000 მეტრზე იყო პირველი(!)

რონომ ოთხივე მსოფლიო რეკორდი ორთვენახევარში გააუმჯობესა: 8 აპრილს, როგორც ვთქვით, ბერკლიში გამოიჩინა თავი, 13 მაისს—სიეტლში (აშშ) 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.05,4, 11 ივნისს ვენაში 10000 მეტრზე გახდა რეკორდსმენი (27.22,4) და 16 დღის მერე ოსლოს სტადიონზე 3000 მეტრზე რბენა მოიგო ბრწყინვალე შედეგით — 7.32,1; ეს 3,6 წამით სჯობდა ბ. ფოსტერის მიერ 4 წლის წინ დამყარებულ რეკორდს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. გასული წლის 1 აპრილიდან 16 აგვისტომდე რონომ თავის საყვარელ დისტანციებზე სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებზე 26-ჯერ აიღო სტარტი და ყოველთვის რბენა პირველმა დაამთავრა.

რონოს მწვრთნელს, ამერიკელ ჯ. ჩეპლინს სჯერა, რომ ჰენრი წლეულსაც და მოსკოვის ოლიმპიადამიც ბევრ სიხარულს მიანიჭებს თაყვანისმცემლებს. მოსამზადებელ პერიოდში რონო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დისტანციაზე „ბიძგის“ დამუშავებას და სტიპლჩეზში ტექნიკის სრულყოფას. იგი ზამთარში კვირაში ერთ-ორჯერ დილით 14-15 კილომეტრს დასერილ ადგილებში დარბოდა, შუადღისას წვრთნას სტადიონზე აგრძელებდა, გაზაფხულზე კი დღეში უკვე ორჯერ ვარჯიშობდა.

„ვისაც მიღწეულის გაუმჯობესება, ახალი მწვერვალების დაპყრობა სურს, შრომასაც უნდა მოუმატოს. მე ბედნიერი ვიქნები თუ ოლიმპიადა 80-ზე ჩემს ქვეყანას ახალ მსოფლიო რეკორდსაც მოვუტან. ვიცი იქ გამარჯვებისთვის ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ისიც ვიცი, წარმატება, რაც უფრო ძნელად მოიპოვება, მით უფრო ძვირფასია“ — უთხრა რონომ კორესპონდენტებს, რომლებიც მისი უკანასკნელი ვარჯიშებით დაინტერესდნენ.

მ. წერეთელი.

სურათზე: ჰ. რონო ასპარეზობისას.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ცურვის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექცია აცხადებს 7-10 წლის ასაკის მოსწავლეთა მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

ჯგუფში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ რაიონული პოლიკლინიკიდან და ერთი ფოტოსურათი (3X4 სმ).

სწავლება უფასოა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სპორტსკოლის დირექციაში: საირმის ქ. № 51 (საბურთალო).

ტელეფონი: 36-45-29 და 36-44-89.

გუშინ მოეწყო „სპორტლოტოს“ მე-17 ტირაჟები.

„სპორტლოტო-6-49“-დან:

პირველი: 1 (ავიასპორტი), 2 (ავტოსპორტი), 3 (აკრობატიკა), 6 (კალათბურთი), 18 (რიკაობა), 45 (ფეხბურთი), შეღავათიანი ბურთულა — 31 (ცურვა).

მეორე: 4 (ალპინიზმი), 8 (კრივი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურები), 44 (ფიგურული სრიალი), 48 (ჭადრაკი), შეღავათიანი ბურთულა — 2 (ავტოსპორტი).

„სპორტლოტო-5-36“-დან: —

პირველი: 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 19 (სათხილამურო რბოლები), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 21 (აფროსნობა), 26 (სამბო).

მეორე: 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ველოტრეკი), 25 (საციგაო სპორტი), 35 (ბალახის ჰოკეი), 36 (ჰოკეი).

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

მეოთხე საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ გათამაშებამდე, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში 16 მაისს გაიმართება, დარჩენილია 16 დღე.

ლატარიაში, გარდა ფულადი მოგებებისა სამიდან 10.000 მანეთამდე, თამაშდება XXII ოლიმპიური თამაშების საგზურები.

მოგაგონებთ, რომ ვინც ექვს ციფრს გამოიცნობს, ან ოლიმპიადის ტურისტულ საგზურს მოიპოვებს, მიიღებს, აგრეთვე, ტალონს მანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

წინა ტირაჟებში ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლებმა მოიგეს მოსკოვის ოლიმპიადის საგზურები, ხოლო შვიდი — დიდი ფულადი მოგების მფლობელი გახდა.

გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის ბარათების „ბ“ და „ვ“ ნაწილების „სპორტლოტოს“ ყუთებში ჩაშვების უკანასკნელი ვადაა 1979 წლის 10 მაისი. თბილისში ეს ვადა გაგრძელებულია 1979 წლის 18 მაისის 18 საათის ჩათვლით.

ტირაჟი გადმოიცემა სოფიიდან სპეციალური სპორტულ-გასართობი პროგრამით, რომელიც „ოლიმპიადა“-80-ისადმია მიძღვნილი.

მონაწილეობა მიიღეთ საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში. არ დაგავიწყდეთ ბარათის სამივე ნაწილის სწორად შევსება.

გისურვებთ წარმატებას!

საქსპორტლოტო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 13355